ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეხოსლოვაკიელი მილენა დუხკოვა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი წყალში მხტომელია. მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში 16 წლის გოგონამ ოქროს მედალი მოიპოვა. მას შემდეგ მილენამ ბევრ სასახელო გამარჯვებას მიაღწია. იგი ახლაც დაუღალავად, დიდი გულმოდგინებით განაგრძობს წვრთნას.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ მ. დუხკოვას კოშკიდან ხტომის დროს. სწორედ ამ ნახტომმა მოუტანა მას ოქრო მეხიკოში...



## ხუთ წუთში და 5 წამით ადრე

კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის წინ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების გუნდები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთმა ჯგუფმა ტარტუში იასპარეზა, მეორე კი კიშინიოვში შეიკრიბა და იქ გამართა ტურნირი. მოლდავეთის დედაქალაქში პირველობისთვის იბრძოდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, მოსკოვის „სერპ ი მოლოტის", ლენინგრადის „ტრუდის", ფრუნზეს „ბურევესტნიკის", რიგის „დაუგავასა" და მასპინძელთა „ინუდორსტროის" კოლექტივები.

სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალისტმა — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა ტურნირი კარგად ჩაატარა და I ადგილი დაიკავა. გამარჯვებულებს განსაკუთრებით ძნელი ბრძოლა ჰქონდათ მასპინძლებთან და „სერპ ი მოლოტთან".

„ინუდორსტროის" კალათბურთელებთან შეხვედრაში ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, მაგრამ პირველ დამატებით 5 წუთში თბილისელებმა მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს — 71:68.

მოსკოვის გუნდთან მატჩის დამთავრებას 40 წამი რომ აკლდა, წინ იყვნენ თბილისელები — 70:69. და აი, საფინალო სასტვენამდე 5 წამით ადრე ა. ზელენოვამ გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო თბილისელთა კალათში და თავის გუნდს გამარჯვება მოუპოვა— 71:70.

II ადგილზე გავიდა „სერპ ი მოლოტი", III — „ინუდორსტროი".

## ჩვენს ქვეყანაში

## სპორტის სასახლე „ზარია"

მიასი (ჩელიაბინსკის ოლქი). ურალის ამ ძველი ქალაქის პეიზაჟი მინითა და ბეტონით ნაგებმა თანამედროვე არქიტექტურული სტილის შენობამ დაამშვენა: ახალი წლის წინადღეს სახელმწიფო კომისიამ ხელი მოაწერა აქტს და სპორტის სასახლე „ზარია", რომელსაც საცურაო აუზიც აქვს, მწყობრში ჩადგა. სასახლეს აქვს დიდი სპორტული დარბაზი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. საცურაო აუზში (25×14 მ) ექვსი ბილიკია. მოწყობილია საგანგებო დარბაზი „მშრალი ცურვისთვის", სადაც სპორტსმენები მოთელვას ატარებენ.

მოხერხებულია სასახლის დამხმარე ოთახებიც — ექიმის კაბინეტი, საინსტრუქტორო, მეთოდური კაბინეტი, გასახდელები, საშხაპეები.

ქალაქში პირველი საცურაო აუზი, რომელიც ილმენის მთების ძირასაა მოწყობილი, მისმა მშენებლებმა განაახლეს. ესენი არიან ოსტატი გ. ბურლაკოვი, სამუშაოთა მწარმოებელი ა. ზვერევი, ინჟინერი ა. აკშენცევი, ფიზკულტურული კოლექტივის „ზარიას" თავმჯდომარე გ. სტარიცინი და სპორტის სასახლის დირექტორი ა. კაკშინი.

ახალი სასახლე პირველი ობიექტია დიდი სპორტული კომპლექსისა, რომელიც ამ ქალაქში უნდა შეიქმნას.

ა. ფილიპონენკო.
(საკდესის კორ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 2 (3996)

4

1970 წ. იანვარი. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. ვ. სიხარულიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გიორგი ვასილის ძე სიხარულიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 30 დეკემბერი.

## იმატა... თოვლის აქციებმა

სათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატებისთვის სამზადისმა თოვლის აქციები საგრძნობლად ასწია — საბჭოთა ქვეყნის ბევრ ისეთ კუთხეში, რომელიც სსრ კავშირში სათხილამურო სპორტის კერად ითვლება, თოვლი არ ჩანს.

თოვლმა ტერსკოლშიც დაიგვიანა და ამიტომ ჩეგეტის მთის ფერდობზე დანიშნული ტურნირი რამდენიმე დღით გადადეს. მიუხედავად ამისა, შეჯიბრების ორგანიზატორები იძულებული გახდნენ სპეციალური სლალომის ტრასის სიგრძე გაენახევრებინათ.

ქალთა შეჯიბრებაში პირველივე ცდაზე დაწინაურდა 17 წლის მოსკოველი ს. ისაკოვა — 35,6 წამი. მართალია, ეს შედეგი სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა, ისაკოვას თანაგუნდელმა გ. შიხოვამ მეორე ცდით 0,2 წამით გააუმჯობესა, მაგრამ ორი ცდის ჯამში წარმატება მაინც ისაკოვას დარჩა — 1.11,6. შიხოვა II ადგილზე გავიდა — 1.12,4.

ვაჟები ამავე ტრასაზე ასპარეზობდნენ. ყველას აჯობა პერმელმა სტუდენტმა, 18 წლის მ. ლოგინოვმა, რომელმაც პირველ ცდაზე 34 წამი აჩვენა, მეორე ცდაზე — 32,4 და 1,1 წამი მოუგო სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონატის ოქროს 3 მედლის მფლობელს, მოსკოველ სტუდენტს ა. ტორმოსინს. III ადგილზეა ვ. ბორისოვი (ცსკა) — 1.08,0.

ტორმოსინი გიგანტურ სლალომშიც II ადგილს დასჯერდა — 1.16,8, ვინაიდან ამ სახეობაში მას ა. ლებედევმა („ავანგარდი") აჯობა — 1.16,0. III ადგილზეა ე. გრიშჩენკო („შრომითი რეზერვები") — 1.17,0.

ტორმოსინის ბედი გაიზიარა შიხოვამაც — ისიც ისევ II ადგილით დაკმაყოფილდა. ამასთან, შიხოვამ კემეროვის პედინსტიტუტის სტუდენტთან ნ. ხალზოვასთან (1.25,7) 0,9 წამი წააგო, ხოლო მესამე პრიზიორს ა. სუხანოვას („სპარტაკი") 5,1 წამით აჯობა.

შეჯიბრების ორგანიზატორები ვაჟების მაჩვენებლებით კმაყოფილი არიან, თუმცა აღნიშნავენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატში უკეთ გამოსვლისთვის მათ მეტი შრომა მართებთ.

## მწვრთნელები ეთანხმებიან

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" რედაქცია ყოველი ახალი წლის პირველ დღეს აქვეყნებს „ა" კლასის I ჯგუფის ყველა გუნდის უფროსი მწვრთნელის პასუხს შეკითხვაზე: როგორ შეადგენდით სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებს?

წლევანდელ ანკეტაში მონაწილეობა მიიღეს ნ. სიმონიანმა (მოსკოვის „სპარტაკი"), ვ. მასლოვმა (კიევის „დინამო"), გ. ჩოხელმა (თბილისის „დინამო"), კ. ბესკოვმა (მოსკოვის „დინამო"), ვ. ივანოვმა (მოსკოვის „ტორპედო"), ვ. ნიკოლაევმა (ცსკა), ა. ალესკეროვმა („ნეფტჩი"), ს. შაპოშნიკოვმა („ჩერნომორეცი"), ა. ფალიანმა („ზენიტი"), ი. ვოინოვმა („შახტიორი"), გ. ზონინმა („ზარია"), გ. მატვეევმა (ასკ, როსტოვი), ი. მოზერმა (მინსკის „დინამო"), ა. კოტრიკაძემ (ქუთაისის „ტორპედო"), ა. პონომარიოვმა („არარატი"), მ. იაკუშინმა („პახტაკორი"), ა. ზაზროევმა (ორჯონიკიძის „სპარტაკი").

გამოკითხვის შედეგად 17 მწვრთნელის ნაკრები ასე გამოიყურება: ა. კავაზაშვილი (10 ხმა), რ. ძოძუაშვილი (10), ა. შესტერნიოვი (16), მ. ხურცილავა (11), ე. ლოვჩევი (16), ვ. სერებრიანიკოვი (11), კ. ასათიანი (14), ვ. მუნტიანი (17), ა. ბიშოვეცი (12), გ. ნოდია (8), ვ. ხმელნიცკი და ნ. ოსიანიანი (5-5). ესე იგი, უმაღლესი ლიგის მწვრთნელები ძირითადად ეთანხმებიან ნაკრების უფროს მწვრთნელს გ. კაჩალინს.

## ისევ ნადეჟდა ჩიჟოვა

სპორტულმა სამყარომ შეაჯამა გასული სეზონის შედეგები. რედაქციებმა, სააგენტოებმა თავიანთი ტრადიციული საახალწლო ანკეტებით დაასახელეს წლის საუკეთესო სპორტსმენები.

აშშ-ს სააგენტო აპ-ის გამოკითხვაში მონაწილეთ უფლება ჰქონდათ 10-10 საუკეთესოს შორის დაესახელებინათ როგორც მოყვარული, ისე პროფესიონალი სპორტსმენები.

როცა გამოკითხვის შედეგები შეაჯამეს, ვაჟებში უძლიერესად აღიარეს ბრაზილიელი ფეხბურთელი პელე. შემდეგ მოდიან რ. ლეივერი (ავსტრალია, პროფესიონალი ჩოგბურთელი), ე. მერქსი (ბელგია, პროფესიონალი ველოსიპედისტი), ჯ. სტიუარტი (ინგლისი, პროფესიონალი ავტომობილისტი), ა. ბონდარჩუკი (სსრ კავშირი, მძლეოსანი), კ. შრანცი (ავსტრია, სამთომოთხილამურე), რ. მათესი (გდრ, მოცურავე), ტ. ჯეკლინი (ინგლისი, გოლფისტი), ჯ. აგოსტინი (ინგლისი, პროფესიონალი ავტომობილისტი) და ჯ. პენელი (აშშ, მძლეოსანი).

ქალებში საუკეთესოდ აღიარეს ნ. ჩიჟოვა (სსრ კავშირი, მძლეოსანი). მომდევნო ადგილებზე არიან: კ. ლაკოსტი (საფრანგეთი, გოლფისტი), ლ. პროკოპი (ავსტრია, მძლეოსანი), ე. ჰეიდენ-ჯონსი (ინგლისი, ჩოგბურთელი), გ. ზაიფერტი (გდრ, ფიგურული მოციგურავე), ლ. ბოადი (ინგლისი, მძლეოსანი), ჰ. გაბლი (ავსტრია, სამთომოთხილამურე), დ. მაიერი (აშშ, მოცურავე), ნ. დიუკლო (საფრანგეთი, მძლეოსანი) და პ. ფოჰტი (გდრ, მძლეოსანი).

## კოლმეურნეთა სტადიონებიდან

### ჩხოროწყუ

„კოლმეურნის" რაიონულმა საბჭომ ჩაატარა პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 8 კოლექტივი, პირად პირველობაში — 15 კაცი. გუნდური გამარჯვება მოიპოვეს ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა. პირად პირველობაში იმარჯვა ამავე კოლმეურნეობის სპორტსმენმა კ. ჯალაღონიამ.

ი. ნაჭყებია.

### კასპი

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა „კოლმეურნის" კალათბურთელთა და ფრენბურთელთა რაიონული პირველობა. კალათბურთში ყველას აჯობეს ოკამის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენებმა, ფრენბურთელთა ტურნირში კი საუკეთესო იყო რაიკავშირის გუნდი.

ლ. ელისაბედაშვილი.

## მაფიას სდევნიან?

ამას წინათ ფედერალურმა პროკურორმა ფ. ჰოგანმა დასაკითხად გამოიძახა მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე მოკრივე პროფესიონალთა მატჩების ორგანიზატორი ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ-გარდენში" ტ. ბრენერი. ასე დაიწყო ამერიკის პროფესიულ სპორტზე აშშ-ს უძლიერესი განგსტერული ორგანიზაციის — მაფიის გავლენის გამოძიება. იურისტთა აზრით, ეს საქმე ყველაზე გრანდიოზულია სახელგანთქმული „კარბოს პროცესის" შემდეგ, რომლის დროსაც ამხილეს აშშ-ს სპორტის ფაქტიურად მმართველი ბანდიტების დიდი ჯგუფი.

პროკურატურის მუშაკებმა უკვე დაჰკითხეს მოკრივეების, მწვრთნელებისა და მენეჯერების დიდი ჯგუფი იმ მატჩის ირგვლივ, რომელიც მაისში ჩატარდა იტალიელ ნ. ბენვენუტისა და ნიგერიელ დ. ტაიგერს შორის. როგორც ამერიკული პრესა იუწყება, ამ მატჩმა დიდი მოგება მოუტანა ამერიკელ საქმოსნებს.

მაშ ასე, სპორტის მესვეურთა განცხადება იმის შესახებ, რომ კარბოს საქმის შემდეგ სპორტში მაფიას ბოლო მოეღო, თვით მაფიამ დააყენა ეჭვის ქვეშ. დღესდღეობით ამერიკაში არავის შეუძლია დაბეჯითებით თქვას, საბოლოოდ როდის გადაწყდება ეს საქმე. (ახალი ამბების სააგენტო).

# მსჯელობის საგანი — მარცხის მიზეზები

სსრ კავშირის პროფკავშირთა IX საზაფხულო სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაცია უხეიროდ გამოვიდა. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები 26-დან 25 სახეობაში ასპარეზობდნენ (რიკაობაში არ მონაწილეობდნენ) და 1274 ქულით VII ადგილზე გავიდნენ. მოგაგონებთ, რომ 1961 წელს საქართველოს სპორტსმენებმა დაიკავეს V, ხოლო 1965 წელს VI ადგილი.

საქართველოს 353 წარმომადგენელმა სპარტაკიადაში 48 მედალი მოიპოვა (22 ოქროსი, 15 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოსი). კარგად გამოვიდნენ თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეთა გუნდები, რომლებმაც შესაბამისად I და II ადგილები დაისაკუთრეს. ძალოსნებმა და მაგიდის ჩოგბურთელებმა III ადგილები დაიკავეს, მოფარიკავეებმა და ხელბურთელმა ვაჟებმა — IV, აკრობატებმა, ტანმოვარჯიშეებმა და კალათბურთელმა ვაჟებმა — V. VI ადგილები ხვდათ ტყვიის მსროლელებსა და წყალბურთელებს.

პირად შეჯიბრებაში თავი ისახელეს ზ. შეყრილაძემ, გ. ყვარელაშვილმა, ნ. ხოხაშვილმა, ლ. თედიაშვილმა, ა. ცხოვრებოვმა, ზ. გობეჯიშვილმა, დ. შანიძემ, ო. დემუროვმა, ა. სლივკოვმა, ა. თედეევმა, თ. ხუდოევმა, ს. დოლიბალტოვმა, გ. ლორთქიფანიძემ, ა. გაგულაშვილმა, მ. სახვაძემ, დ. შარაშენიძემ, ე. აზაჯიანმა, ს. სარხოიანმა, რომლებმაც სპარტაკიადის ჩემპიონობა დაისაკუთრეს. მ. ოუროშიძემ, ნ. საგანელიძემ, ა. ჯეჯელავამ, თ. სირბილაძემ, ვ. ხანდოლიშვილმა, დ. გვანცელაძემ, ნ. ხოზაძემ, ი. ვიხროვმა, თ. კობიძემ, თ. გოშაძემ, მ. სულამანიძემ, ვ. სკრინიკოვმა, გ. შახსუვორიანმა, თ. რამაზაშვილმა კი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიხვეჭეს.

რესპუბლიკის ნაკრებ კოლექტივებს შევსება მისცეს: „ბურევესტნიკმა" — 179 კაცი, „განთიადმა" — 59, „სპარტაკმა" — 44, „ლოკომოტივმა" — 35, „შრომითმა რეზერვებმა" — 17, „კოლმეურნემ" — 16, „ვოდნიკმა" — 3. ტერიტორიული მაჩვენებლები ასეთია: რესპუბლიკის ნაკრებში ყველაზე მეტი (304) თბილისელი სპორტსმენი იყო. საქართველოს ღირსება იცავდა ფოთის 12, ბათუმის 10, ქუთაისის 8, სოხუმის 7, მცხეთის 5, რუსთავის 4, გორის 2, მახარაძის 1 სპორტსმენი.

საქართველოს გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა 9 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 278 სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი. ეს თითქოს მცირე ძალა როდი იყო საიმისოდ, რომ საკავშირო სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში უკეთესი ადგილი მოგვეპოვებინა, მაგრამ ასე არ მოხდა.

ჩვენი რესპუბლიკის საერთო მაჩვენებლებზე განსაკუთრებით იმოქმედა მოჭადრაკეების, ნიჩბოსნების, წყალში მხტომელების, თანამედროვე ხუთჭიდელების, მძლეოსნების, მოცურავეების, ტრეკზე ველომრბოლელების, ფრენბურთელი და ხელბურთელი ქალების, მსტენდურეების წარუმატებლობამ. საერთოდ, ნაკრები ცუდად იყო მომზადებული. ეს იმიტომ მოხდა, რომ სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში არ სრულდებოდა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილება „სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში საქართველოს დელეგაციის შედეგებისა და მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ"; რომ ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებში არ ტარდებოდა სრულწლიური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა; ნაკრებმა გვიან დაიწყო მზადება პროფკავშირთა სპარტაკიადისთვის; რომ ნაკრები გუნდებისთვის არ გვქონდა სპეციალური კალენდარი, სადაც ამხანაგური მატჩები იქნებოდა დაგეგმილი. ამას გარდა, მნიშვნელოვანი შეცდომები დაუშვეს მზადების ძირითად პერიოდში.

საქართველოს ნაკრების მარცხი იმანაც გამოიწვია, რომ პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა ბავშვებთან მუშაობას; ცუდად კომპლექტდებოდა ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტსკოლების სასწავლო ჯგუფები; სათანადო კონტროლს არ უწევდნენ მწვრთნელთა საქმიანობას. წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ პროფკავშირთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ადგილი ჰქონდა უხეშ დამახინჯებებს: ასპარეზობის დებულებით ფინალში დაიშვებოდნენ ის სპორტსმენები, რომელთაც I თანრიგი მაინც ჰქონდათ, სინამდვილეში კი აკადემიურ ნიჩბოსნობაში მოასპარეზე 180 სპორტსმენიდან III თანრიგის ნორმატივიც კი ვერავინ შეასრულა, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში 80 სპორტსმენიდან 76 ვერ ჩაეტია სათანრიგო მოთხოვნებში, „სპარტაკისა" და „ლოკომოტივის" ძალოსნები რესპუბლიკურ ტურნირში III თანრიგის შედეგებს დასჯერდნენ. პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადის საგზურისთვის მებრძოლი 181 მოცურავიდან 146-მა I თანრიგის ნორმატივი ვერ შეასრულა. ასეთივე სურათი იყო ტრეკზე ველორბოლაში, მძლეოსნობასა და სხვა სახეობებში.

პროფკავშირთა IX საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს დელეგაციის შედეგებზე ამას წინათ იმსჯელეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა. მათ ამხილეს დაშვებული შეცდომები და სათანადო დადგენილება მიიღეს.

გამოირკვა, რომ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე ყველაფერი რიგზე არ იყო. მაგალითად, ტრეკზე ველომრბოლელები ხისსაფარიან ტრეკზე ვარჯიშობდნენ, სპარტაკიადაში კი შეჯიბრება ბეტონისსაფარიან ტრეკზე მოეწყო. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საზოგადოებას ერთნაირი პირობები აქვს, სასტენდო სროლა სათანადოდ მხოლოდ „ლოკომოტივშია" დანერგილი, ხუთჭიდი — „სპარტაკში", წყალბურთი — „განთიადსა" და „ვოდნიკში", ხელბურთი და მხატვრული ტანვარჯიში — „განთიადსა" და „ბურევესტნიკში", აკრობატიკა — „შრომით რეზერვებში", „განთიადსა" და „ბურევესტნიკში". „სპარტაკში", „შრომით რეზერვებსა" და „კოლმეურნეში" ყურადღება არ ექცევა ნიჩბოსნობას, „ბურევესტნიკში", „კოლმეურნესა" და „ლოკომოტივში" — ტრეკზე ველორბოლას. წყალში ხტომა კი პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებიდან მხოლოდ „განთიადშია" დანერგილი.

არ სრულდებოდა წვრთნის გეგმები, ირღვეოდა დისციპლინა, რამაც ცალკეულ სპორტსმენთა მაჩვენებლებზე გავლენა მოახდინა. მაგალითად, საერთაშორისო სპორტის ოსტატმა ი. დელა-როსამ (მწვრთნელი ა. შჩერბინა) საკავშირო სპარტაკიადაში 50 კმ-ზე სპორტული სიარულის დისტანცია მიატოვა, 20 კმ-ზე სიარულში კი წესის დარღვევისთვის იგი შეჯიბრებიდან მოხსნეს. მ. თათევოსიანმა (მწვრთნელი ო. ლაკერბაი) ჰოკით ხტომაში გუნდური ინტერესები არაფრად ჩააგდო, ზედმეტად შეაფასა საკუთარი ძალები, განაცხადში წინასწარ შეტანილი სიმაღლე ვერ დაძლია და შეუფასებელი დარჩა. წყალბურთელი ნ. გოგოლაძე მსაჯის შეურაცხყოფისთვის შეჯიბრებიდან მოხსნეს, რამაც გუნდი დააზარალა.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმისა და ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოები, აგრეთვე, უფროსი მწვრთნელები ჭადრაკში, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, წყალში ხტომაში, თანამედროვე ხუთჭიდში, მძლეოსნობაში, ცურვაში, სასტენდო სროლაში, კრივში, ფრენბურთსა და ხელბურთში (ქალთა გუნდები) გულგრილად მოეკიდნენ სპარტაკიადისთვის მზადებას, რისთვისაც მათ სათანადო სასჯელი დაედოთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო და იმ მიზნით, რომ რესპუბლიკის სპორტსმენები, ნაკრები გუნდები სახეობების მიხედვით შემდგომი საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის უკეთ მოემზადონ, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის კოლეგიამ და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მინსკში ხულიგნობისთვის წყალბურთელ ნ. გოგოლაძეს 2 წლით დისკვალიფიკაცია მისცა, ხოლო მძლეოსან ი. დელა-როსას — 1 წლით პირობითი დისკვალიფიკაცია.

ეხმაურებიან წერილს: „სპეციალისტებო, თქვენ რას იტყვით?"

## ბაზები — აი, მთავარი

უთუოდ სასარგებლო საქმეს აკეთებს „ლელო", რომელმაც დაიწყო დისკუსია რესპუბლიკაში „სპორტის დედოფლის" შემდგომი განვითარების საკითხებზე. მართლაც, სად უნდა ვეძიოთ ნაკლოვანებათა სათავეები? პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, სკოლებში. სკოლა, სადაც კარგადაა დაყენებული მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა, მოსწავლეებში ავლენს კარგი მონაცემების მქონე ბავშვებს, წარმატებით წვრთნის მათ სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, ბავშვები ხშირად აქვე აღწევენ პირველ დიდ წარმატებებს და სკოლიდან იმდენად მომზადებული მიდიან, რომ შემდეგ, უმაღლეს სასწავლებლებში იქნება ეს, საბჭოთა არმიაში სამსახურის დროს თუ სხვაგან, უფრო ინტენსიურად აგრძელებენ ვარჯიშს. ბევრი საერთაშორისო სარბიელზეც გადის.

საუკეთესო მონაცემების მძლეოსნები მასობრივად რომ აღზარდოს, სკოლას სათანადო ბაზა უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, რომ ფიზაღზრდის სწავლების სასკოლო პროგრამები ძირითადად მძლეოსნურ ელემენტებზეა აგებული.

! რა მდგომარეობაა ჩვენში? საქართველოს რომელ სკოლას აქვს ისეთი მძლეოსნური ბაზა, სადაც წლის ყოველ პერიოდში შეიძლება ნაყოფიერი ვარჯიში? სამწუხაროდ, არც ერთს.

ჩვენი სკოლების უმეტესობის ტიპიური დარბაზები (ფართობი — 7×14 მ) ფრენბურთის სათამაშოდაც არ ვარგა, ამასთან, კარგა ხანია სკოლების დირექციებმა წესად შემოიღეს ამ სპორტდარბაზების სააქტო დარბაზებად გამოყენება. მართალია, დღეს ჩვენს რესპუბლიკაში შეიძლება მოიძებნოს ერთი-ორი სკოლა, სადაც სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორებია მოწყობილი, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ამას გარდა, ზამთარში ეს ბაზები არავის არგია.

რაკი სიტყვა ბაზებზე ჩამოვარდა, აქვე მინდა ვთქვა, რომ ძალიან ძნელია მძლეოსნური ინვენტარის შოვნა. ბავშვები არც სპორტული ტანსაცმლით არიან განებივრებული.

საქმეს ისიც აფერხებს, რომ სპორტსაზოგადოებათა საბჭოები ხეირიანი ნაკრები გუნდების დაკომპლექტებისთვის არ ზრუნავენ და ფონს ხშირად „ნასესხები" მძლეოსნებით გადიან. კარგი იქნება, რომ საზოგადოებებს შორის სოციალისტური შეჯიბრების პირობებში მეტი ყურადღება მიექცეს მძლეოსნობის განვითარებას.

უნდა ვიზრუნოთ მანეჟების აგებაზე ისეთ დიდ ქალაქებში მაინც, როგორიცაა თბილისი, სოხუმი, ბათუმი, რუსთავი და გორი (ამბობენ, ქუთაისში მალე გაიხსნება მანეჟიო). ზამთრის კეთილმოწყობილი ბაზების უქონლად ფონს ვეღარ გავალთ. თუ რა მნიშვნელობა აქვს კეთილმოწყობილ ბაზას, ამის საილუსტრაციოდ ბათუმის საცურაო აუზი გამოდგება. ვიდრე აქ „განთიადის" აუზს ააგებდნენ, რომელსაც აქვს გათბობა, გასახდელები, საშხაპეები, აჭარაში ცურვა ჩამორჩებოდა. კეთილმოწყობილმა ბაზამ კი საქმე ადგილიდან დაძრა. ახლა მშობლებს ბავშვები თვითონ მიჰყავთ სექციებში, მეტია შერჩევის საშუალება, ამაღლდა შედეგები.

სულ სხვა მდგომარეობაა სოფლის სკოლებში მძლეოსნობის სწავლების მხრივ. სოფლად თითქმის ყველგან შეიძლება მარტივი ტიპის სარბენი ბილიკებისა და მძლეოსნური სექტორების მოწყობა. კარგია, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო ყოველწლიურად მართავენ სოფლის სკოლების მძლეოსანთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებს. მაგრამ იმის გამო, რომ ბევრ სკოლაში მასწავლებლებს არც ცოდნა ჰყოფნით და არც გამოცდილება, ბაზებს ხეირიანად ვერ აწყობენ და შეჯიბრებებს თავს არიდებენ. ურიგო არ იქნება, თუ სოფლის სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლებისთვის რეგულარულად მოვაწყობთ სემინარებს, სადაც ისინი ისწავლიან ბაზების მოწყობას, მძლეოსნობაში მეცადინეობის ჩატარებას და ა. შ.

**შ. მჟავანაძე,**
საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.
ბათუმი.



## სპორტული ქალაქი საბერიოში

პირველს მუდამ უჭირს გზის გაკაფვა. ეს კარგად იციან ენგურჰესის მშენებლობაზე, განსაკუთრებით, ძალის კვანძის სამმართველოში. შარშან გივი ნადირაძის ბრიგადის წევრებმა საკავშირო რეკორდი დაამყარეს გვირაბის ჩქაროსნულ გაყვანაში. ამიტომ ამ ბრიგადის წევრება — ძალოსანმა ა. ღლონტმა და მოჭიდავე ს. მამუჩარაშვილმა მონაწილეობა ვერ მიიღეს მეორე რეკორდის — სპორტული რეკორდის დამყარებაში.

წარმოიდგინეთ, სოფელ საბერიოში ჭიდაობის ადგილზე სამ თვეში ამოიზარდა ნამდვილი სპორტული ქალაქი: სტადიონი, სათამაშო მოედნების კომპლექსი, ძალოსნური სექტორი. ცოტა ხნის წინ კი ამას დაემატა 25-მეტრიანი ღია საცურაო აუზიც. ბიჭები დაუსვენებლად, თავგამოდებით, კომკავშირული გატაცებით მუშაობდნენ. აქ იყვნენ ჯ. ჭანტურია, შ. აბაკელია, ს. ფოტოვი, ბ. ასლანოვი და... პენსიონერი ი. ქორქოლიანი, რომელსაც მინდვრის გამწვანებაში მიუძღვის წვლილი.

ნამუშევარი ფრიადზე შეფასდა. მართლაც, სპორტული ქალაქი ძალიან მოუხდა საბერიოს. თავისუფალ საათებში აქ სიამოვნებით მოდიან ახალგაზრდები. ფიზკულტურის ინსტრუქტორი რ. კახაძე ყველას გულდიად ხვდება. სხვათა შორის, იგი ენგურჰესის საფეხბურთო ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად აღიარეს. რევაზმა 16 ბურთი გაიტანა და პრემია მიიღო, თუმცა მისი გუნდი II ადგილზე გავიდა. მათ გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით აჯობეს გვირაბმშენის სამმართველოს ფეხბურთელებმა. სამაგიეროდ, კახაძის გუნდის წარმომადგენლებმა სპორტის დანარჩენ 8 სახეობაში იმარჯვეს და ენგურჰესის „მცირე ოლიმპიურ თამაშებში" ჩემპიონობა მოიპოვეს.

ამ წარმატებას დიდად შეუწყვეს ხელი სამმართველოს უფროსმა ა. ცნობილაძემ, მთავარმა ინჟინერმა უ. გოჯიაშვილმა და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ ე. მიქელაძემ.

საერთო წარმატებაში წვლილი მიუძღვით აქტივისტებსაც — კალათბურთელ ვ. შვეცოვს, ფრენბურთელ გ. ლვინჯილიას, მოჭადრაკე რ. დგებუაძეს, ხელბურთელ ი. იურტოვს, მოჭიდავე შ. აბაკელიას...

ამას წინათ სამმართველოში ბადმინტონის სექცია ჩამოყალიბდა. ამ საქმეში თაოსნობა სეისმოლოგიური სადგურის უფროსს ე. სერთოვს ეკუთვნის.

სპორტსმენები დიდ დახმარებას უწევენ სოფელ საბერიოს მოსწავლეებსაც. ნორჩმა ფეხბურთელებმა გალის რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრებაში II ადგილი დაიკავეს, თუმცა უკონკურსოდ გამოდიოდნენ. საინტერესოა, რატომ აპირებდნენ გალის რაიონში, რომ ისინი უსპორტოდ დაეტოვებინათ? ამ რაიონის განათლების განყოფილება მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს ნორჩ ფიზკულტურელებს და მათ შორის მარტო ფეხბურთის კი არა, სხვა სახეობათა გავრცელებასაც ცდილობდეს.

სამმართველოს სპორტსმენები სტუმართმოყვარე მასპინძლები არიან. მათს ბაზებზე ენგურჰესის სპარტაკიადა მეორედ ჩატარდა, 1500 მონაწილის მიღება კი ხუმრობა საქმე როდია. ძალის კვანძის სამმართველოში 800 კაცი მუშაობს და მათგან 450 ფიზკულტურელია. მათ შორის არიან პირველთანრიგოსანი მოჭიდავეები ჯ. გელოვანი და ა. ჟურავლიოვი, 56 კაცი მეორეთანრიგოსანია, 77 — მესამეთანრიგოსანი.

დღეს გიამბეთ მხოლოდ ერთზე 16 ძირითადი სამმართველოდან. სულ ენგურჰესის სპორტულ არმიაში 11 ათასიდან 3200 კაცია გაერთიანებული. ოღონდ ეს არის, რომ ფიზკულტურის ინსტრუქტორები არ ჰყოფნით.

— ერთი ცხრა კაცი მაინც გვჭირდება, — გვითხრა ენგურჰესის უფროსმა ფიზკულტურის ინსტრუქტორმა კ. ხახაიამ.

**ვ. ბუკინი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).
სოფ. საბერიო,
გალის რაიონი.

* * *

სურათზე: თამაშობენ გვირაბმშენისა და წყალვარდნილების ჰიდროელექტროსადგურის სამმართველოების კალათბურთელები.

ფოტო ა. ხავინსონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# პრინციპული შეხვედრა

XII ტური. ა. სუეტინი — რ. ხოლმოვი (ორივე — მოსკოვი) 0,5:0,5, ა. ლეინი (მოსკოვი) — რ. ფუქსი (გდრ) 0,5:0,5, ბ. გურგენიძე — რ. ჯინჯიხაშვილი (ორივე — თბილისი) 1:0, დ. ბრონშტეინი (მოსკოვი) — ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) 0,5:0,5, ლ. მაშიჩი (იუგოსლავია) — ე. გუფელდი (თბილისი), ლ. შამკოვიჩი (მოსკოვი) — მ. ტალი (რიგა), ნ. სპირიდონოვი (ბულგარეთი) — ე. ჰაავი (უნგრეთი), ე. კოსტრო (პოლონეთი) — ე. ჩოკილტია (რუმინეთი) — ყველა პარტია გადაიდო.

საოცრად დუნედ თამაშობს ბრონშტეინი. კარგად გაითამაშებს დებიუტს და მერე, როცა ნამდვილი ბრძოლა უნდა დაიწყოს, ყაიმზე თანხმდება. ასე მოიქცა იგი ჰორტთანაც. ძველინდური დაცვა თეთრებით მუდამ საინტერესო თამაშის წინაპირობაა, მაგრამ ამჯერად მე-13 სვლაზე მეტოქეები დაზავდნენ.

ცუდი მაგალითი გადამდებია, მაგრამ ამ დღეს ყველა დანარჩენი მონაწილე თავგამოდებით იბრძოდა. ყაიმით დამთავრებულ ლეინ— ფუქსის პარტიაშიც კი ასე იყო.

გურგენიძისა და ჯინჯიხაშვილის შეხვედრას ორივე მეტოქისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ დაფაზე მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა. გურგენიძემ მეტი შემართებით ითამაშა. ჯინჯიხაშვილმა მის იერიშს ვერ გაუძლო და 21-ე სვლაზე დანებდა.

რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში მაყურებელი გაიტაცა შამკოვიჩ — ტალის შეხვედრამ. რიგელი დიდოსტატი ენერგიულად უტევდა მეტოქეს. კრიტიკულ მომენტში შამკოვიჩმა კარგად ითამაშა, მან ხანგრძლივი კონტრშეტევაც კი მიიღო. პარტია მხედრების ენდშპილში გადაიდო.

დიდოსტატის წოდებისთვის ჩოკილტიაც იბრძვის. მან ჯიქურ შეუტია კოსტროს. პოლონელმა ოსტატმა ხარისხი დათმო, რათა რუმინელი ოსტატის იერიში ჩაექრო. დაფაზე ძნელად მოსაგები ენდშპილი შეიქმნა.

# დრო არ ეყოთ

2 იანვარს დილით შედგა გადადებული პარტიების დამთავრება: მაშიჩი — გუფელდი 0:1, შამკოვიჩი — ტალი 0,5:0,5. სპირიდონოვ — ჰაავისა და კოსტრო — ჩოკილტიას პარტიები კვლავ გადაიდო.

გუფელდის პოზიცია დიდხანს ეჭვს იწვევდა, მაგრამ შემდეგ მაშიჩი შეცდა გამსვლელი პაიკების წინსვლის გაანგარიშებაში. გადადებული პოზიცია მას კარგს აღარაფერს უქადდა და ამიტომ თამაშის განუახლებლად დანებდა. ტალი შეეცადა მოგების შანსის შექმნას, მაგრამ ამაოდ.

გადადებული პარტიების დამთავრება ორ საათს გრძელდება. სპირიდონოვსა და ჩოკილტიას ეს დრო არ ეყოთ უპირატესობის რეალიზებისთვის.

# როცა ყაიმი ხელს გაძლევს

გუშინწინ შედგა XIII ტური: ჰაავი — ბრონშტეინი 0,5:0,5, ჰორტი — გურგენიძე 0,5:0,5, ჯინჯიხაშვილი — მაშიჩი 1:0, გუფელდი — ლეინი 0,5:0,5, ხოლმოვი — შამკოვიჩი, ტალი — კოსტრო, ფუქსი — სუეტინი, ჩოკილტია — სპირიდონოვი — ყველა პარტია გადაიდო.

მხოლოდ 13 სვლა გაკეთდა ჰორტ — გურგენიძის შეხვედრაში. ქართველ ოსტატს ყაიმი დიდოსტატის ნორმატივს აახლოვებდა. ამიტომ მისი მხრიდან გამომწვევი თამაში, ისიც გამოჩენილ დიდოსტატთან, უაზრობა იქნებოდა. თვით ჰორტსაც, როგორც ჩანს, არ სურდა ნაღდი ყაიმის დაკარგვა, მით უმეტეს, რომ მას სამეულში მოხვედრა სურს.

7,5 ქულა—აი, საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი. ჯინჯიხაშვილი, რასაკვირველია, ოცნებობს ამ ნორმატივის შესრულებაზე. შუა ტურნირში ამდენი წაგება სხვას ალბათ საკუთარი ძალის რწმენას შეურყევდა, მაგრამ თბილისელი ოსტატი მტკიცე ნებისყოფის მოჭადრაკე აღმოჩნდა.

მაშიჩმა ჯინჯიხაშვილს ტარაშის დაცვის წინააღმდეგ ბრძოლა შესთავაზა. ამ დაცვამ სპასკის წარმატება მოუტანა პეტროსიანთან მატჩში, იგი ტაქტიკური ბრძოლის საუცხოო ასპარეზია. როგორც ჩანს, იუგოსლაველი ოსტატი არჩევანში შეცდა, რადგან ჯინჯიხაშვილი თვითონ შესანიშნავი ტაქტიკოსია.

აი, ამ პარტიის მსვლელობა კრიტიკული მომენტიდან.

მაშიჩი



ჯინჯიხაშვილი

26. მ:c6 ე:c6 27. ე:c6 bc 28. ლ:a5 c5 29. bc ე:c5 30. ე:c5 ლe1+ 31. ლf1 ლ:e3+ 32. ლf2 ლ:f2+ 33. მფ:f2 მe4+ 34. კ:e4 კ:c5+ 35. მფf3 de+ 36. მფ:e4 f6 37. მფd5 კe3 38. a4 კ:f4 39. a5 მფf7 40. a6 კb8 41. კd4. შავები დანებდნენ.

გუფელდს თავისი საყვარელი სიცილიური დაცვის დრაკონის სისტემის წინააღმდეგ მოუხდა თამაში. მან იერიშიც განავითარა, მაგრამ ლეინმა დროული თავდასხმით აიძულა თბილისელი მუდმივი ქიშით ყაიმით დაკმაყოფილებულიყო.

ჩოკილტია მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდა. ცაიტნოტში სპირიდონოვმა შეძლო პოზიციის გართულება.

სუეტინმა ფუქსს ლაზიერი შესწირა ეტლსა და კუში. ძნელია ითქვას, რამდენად კორექტული იყო ეს კომბინაცია, მაგრამ მან ხანგრძლივი ინიციატივა მოუტანა მოსკოველ დიდოსტატს. საშინაო ანალიზი გვიჩვენებს, იკმარებს თუ არა იგი მოგებისთვის.

უაღრესად რთული ბრძოლა გააჩაღეს ტალმა და კოსტრომ. პოზიცია ჩაიკეტა და ხუთსაათიანი თამაში უშედეგო აღმოჩნდა. ტალმა შეძლო ცენტრში მხედრის გამაგრება. ეს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მისი პოზიცია უფრო საიმედოა.

# მიზანს მიაღწიეს

გუშინ გაიმართა XIV ტური: ბრონშტეინი—ჩოკილტია 0,5:0,5, გურგენიძე — მაშიჩი 0,5:0,5, კოსტრო — ხოლმოვი 0,5:0,5, სპირიდონოვი — ტალი 0:1, შამკოვიჩი — ფუქსი 0,5:0,5, ლეინი — ჯინჯიხაშვილი 0:1, ჰორტი — ჰაავი, სუეტინი — გუფელდი — ორივე პარტია გადაიდო.

გურგენიძემ და ჯინჯიხაშვილმა დიდი სიხარული მოუტანეს ქართველ ჭადრაკის მოყვარულებს. მაშიჩმა გურგენიძის წინააღმდეგ ესპანურ პარტიაში მტკიცე პოზიცია მიიღო. ქართველმა მოჭადრაკემ სცადა ხელთ ეგდო ინიციატივა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. ლაზიერების გაცვლის შემდეგ, 31-ე სვლაზე, იუგოსლაველმა გურგენიძეს ყაიმი შესთავაზა. წინადადება მიღებულ იქნა და... დარბაზში ტაში გაისმა. ამ ყაიმით გურგენიძემ ფიდე-ს დაწესებული საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ამასობაში ჯინჯიხაშვილი შეუპოვრად უტევდა ლეინის მეფის პოზიციას. მოსკოველმა დიდოსტატმა ვერ შენიშნა საქართველოს ჩემპიონის ძლიერი მუქარა და დამარცხდა. ჯინჯიხაშვილმა საერთაშორისო ოსტატის წოდების მოპოვებისთვის საჭირო 7,5 ქულა დააგროვა.

გაიხარეს ტალის ქომაგებმაც: „შავმა ჯიქმა", როგორც ტალს უცხოეთში უწოდებენ, შეწირვების კორიანტელი დააყენა დაფაზე. სპირიდონოვი გაოცებული შესცქეროდა, თუ როგორ შესწირა მას მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ჯერ პაიკი, მერე ეტლი, კუ...

14 ტურის შემდეგ ბ. გურგენიძეს 10 ქულა აქვს, მ. ტალს — 9,5 (1), ვ. ჰორტს — 9 (1), ე. გუფელდს — 8 (1), რ. ჯინჯიხაშვილს — 7,5, ვ. ჩოკილტიას — 7 (2).

დღეს გადადებული პარტიების დამთავრებაა, 5 იანვარს — XV ტური, 6 იანვარს დილით — გადადებული პარტიების დამთავრება. იმავე საღამოს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში მოეწყობა მემორიალის საზეიმო დახურვა.

თ. გიორგაძე.

# ბოლო წონამ გადაწყვიტა

ამას წინათ საგარეჯომ ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის გუნდური პირველობის მონაწილეებს უმასპინძლა: სარბიელზე გამოვიდნენ თბილისის, გორის, თელავის, ცხინვალის, საგარეჯოს, კასპისა და დუშეთის გუნდები. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. ასპარეზობას გაურკვეველი მიზეზებით თავი აარიდეს ახმეტის, ყვარლის, გურჯაანის, რუსთავის, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენლებმა.

ქებას იმსახურებენ თელავის სპორტის მესვეურები: ეს ქალაქი წლების მანძილზე არ ჩანდა რესპუბლიკურ ჩემპიონატებში, ახლა კი საგარეჯოში სრული გუნდით წარმოგვიდგა. ეს მწვრთნელის შ. დალაქიშვილის მონდომებული შრომის შედეგიცაა. გაგვახარა დუშეთისა და ცხინვალის გუნდების გამოსვლამაც.

სრულიად მოულოდნელი იყო ახმეტელთა ჩამოუსვლელობა საგარეჯოში: ახმეტა ხომ მუდამ გამოირჩეოდა კარგი მოჭიდავეებით!

მოუმზადებელი, ექვსკაციანი გუნდი წარმოადგინა კასპმა, რის გამოც იგი მხოლოდ VI ადგილს დასჯერდა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილია სამბოცა და ქართული ჭიდაობაც. თბილისში კი აღნიშნულ სახეობებში ბავშვთა სექციები არა გვაქვს. ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ჭიდაობის ფედერაციამ.

მოუწესრიგებელია საწვრთნელი ბაზები. საგარეჯოს, მართალია, საჭიდაო დარბაზი აქვს, მაგრამ მისი გამოყენება ძნელია, ვინაიდან არ მუშაობს საშხაპეები და სხვა სათავსოები.

ახლა კი შეჯიბრების შესახებ.

პირველ წრეში იოლი გამარჯვება მოიპოვეს საგარეჯოელებმა და გორელებმა. მათ შესაბამისად დაამარცხეს თელავისა და დუშეთის გუნდები. თბილისის ნაკრები ამ წრეში ისვენებდა. ცხინვალელმა მოჭიდავეებმა შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ აჯობეს კასპელებს — 4,5:3,5.

მეორე წრეში შეჯიბრებას გამოეთიშნენ თელავისა და კასპის გუნდები: პირველმა წააგო თბილისის კოლექტივთან, მეორემ — საგარეჯოს წარმომადგენლებთან. გორის ნაკრებმა დაამარცხა ცხინვალელთა კოლექტივი.

მესამე წრეში ასპარეზი დატოვეს ცხინვალისა და დუშეთის გუნდებმა. ამრიგად, ფინალში აღმოჩნდნენ თბილისის, საგარეჯოსა და გორის მოჭიდავეები.

თბილისელებმა ადვილად სძლიეს გორელებს, რომლებიც საგარეჯოელებთანაც დამარცხდნენ და საბოლოოდ III საპრიზო ადგილს დასჯერდნენ.

გადამწყვეტი ბრძოლა პირველობისთვის თბილისისა და საგარეჯოს გუნდებს შორის გაიმართა. პირველი ქულა თბილისის ნაკრებს მისცა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა ბ. ქიქიაშვილმა, რომელმაც დაამარცხა ახალგაზრდა მეტოქე გ. მარხვაშვილი. მეორე შეხვედრაც თბილისელებმა მოიგეს — შ. ფიცხელაურმა სძლია გ. თედიაშვილს. მაგრამ, ვინაიდან უმძიმეს წონაში თბილისის გუნდს მონაწილე არ ჰყავდა და გამარჯვება თავიდანვე საგარეჯოელებს ჩაეთვალათ, ანგარიში გახდა 2:1.

მომდევნო წონებში მასპინძლებმა იმარჯვეს: გ. გზირიშვილმა და რ. ყორღანაშვილმა წმინდად დაამარცხეს თბილისელი მეტოქეები ნ. ბეინიშვილი და ო. ნათელაშვილი. ახლა უკვე საგარეჯოელები დაწინაურდნენ, მაგრამ წონასწორობა სულ მალე აღადგინა ა. მარგველანმა: მან რამდენიმე წამში ბეჭებზე დასცა ა. დიღმელაშვილი.

ლამაზი იყო ქვემძიმე წონის წარმომადგენელთა გ. კახაბრიშვილისა (თბილისი) და გ. გოგოლაურის ორთაბრძოლა. ორივემ ქართული ჭიდაობის ბრწყინვალე ცოდნა გამოავლინა. უპირატესობა, ჩვენი აზრით, კახაბრიშვილის მხარეს იყო, მაგრამ მსაჯებმა ბრძოლა ფრედ შეაფასეს.

ამრიგად, გამარჯვებული გუნდის საკითხი მძიმეწონოსანთა შერკინებას უნდა გადაეწყვიტა. აქ თავი გამოიჩინა თბილისელმა ო. შაშვიაშვილმა, რომელმაც 3 ქულა აართვა დ. რევაზიშვილს. საქართველოს 1969 წლის ჩემპიონი გახდა თბილისის გუნდი (მწვრთნელი ბ. მაზიაშვილი). II ადგილი დაიკავეს საგარეჯოელებმა, III — გორელებმა.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული (მთავარი მსაჯი შ. ზუკაკიშვილი) და კარგადაც ჩატარდა.

ა. ფიცხელაური.
(ჩვენი სპეც. კორ.).

საგარეჯო.

## სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი კალათბურთში

# 13 ქულის უპირატესობით

გუშინ მოსკოვში გაიმართა მორიგი ტურის მატჩი: სსრ კავშირის ჩემპიონმა ცსკა-მ უმასპინძლა ლენინგრადის „სპარტაკს". საინტერესო ორთაბრძოლა არმიელებმა მოიგეს —81:68 (40:34).

28 დეკემბერს მოსკოვში გამართული მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და რიგის არმიელთა შორის დამთავრდა ანგარიშით 93:78 (48:37). „ლელოში" ამ შეხვედრის შედეგი საკავშირო რადიოს სპორტული მიმომხილველის მიზეზით შეცდომით იყო დაბეჭდილი.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 იანვრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 10 | 9 | 1 | 832—707 | 9 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 9 | 8 | 1 | 777—635 | 8 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 10 | 7 | 3 | 785—715 | 7 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 8 | 6 | 2 | 644—615 | 6 |
| ასკ (კიევი) | 9 | 5 | 4 | 681—632 | 5 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 8 | 4 | 4 | 671—640 | 4 |
| „კალევი" (ტარტუ) | 8 | 4 | 4 | 630—650 | 4 |
| „დინამო" (თბილისი) | 7 | 3 | 4 | 496—551 | 3 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 9 | 2 | 7 | 654—757 | 2 |
| ასკ (რიგა) | 9 | 2 | 7 | 646—717 | 2 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 9 | 1 | 8 | 676—777 | 1 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 8 | 1 | 7 | 607—703 | 1 |

# გუნდებს — კვალიფიციური მწვრთნელები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დავალებით, ფეხბურთის სამმართველომ და ფეხბურთის ფედერაციამ შეამოწმეს საქართველოს „ბ" კლასისა და რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილე გუნდები, აგრეთვე, ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფები და გამოარკვიეს, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილებზე მუშაობენ არაკვალიფიციური, შეუფერებელი პირები, რომლებიც ვერ ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

ამ შემოწმების საფუძველზე ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დაადგინა 1970 წლის იანვრის ბოლომდე გადაისინჯოს „ბ" კლასის, საქართველოს პირველობაში მონაწილე გუნდებისა და ბავშვთა მოსამზადებელი ჯგუფების მწვრთნელთა შემადგენლობა და გათავისუფლდნენ ის პირები, რომლებსაც არა აქვთ სპეციალური განათლება ან ამჟამად არ სწავლობენ. ამიერიდან ამ გუნდებში დასანიშნი მწვრთნელების საკითხი უნდა განიხილოს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ, ფედერაციის პრეზიდიუმმა და სპორტულ-მეთოდურმა საბჭომ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის უსაგზუროდ მწვრთნელები სამუშაოზე არ დაიშვებიან.

# ახალი ამბები

● ჟენევა, 2 იანვარი. სსრ კავშირის იუნიორ ჰოკეისტთა ნაკრები წარმატებით განაგრძობს ასპარეზობას ევროპის ჩემპიონატში. მესამე მატჩში მან ანგარიშით 14:1 დაამარცხა შვეიცარიელი თანატოლების გუნდი, მერე კი სძლია ფინელთა კოლექტივს — 7:1. ასევე წარმატებით თამაშობენ ჩეხოსლოვაკიელი იუნიორებიც, რომლებმაც ახალი წლის პირველ დღეს მწვავე ბრძოლაში აჯობეს შვეციის ნაკრებს — 3:2.

● ტორონტო, 2 იანვარი. ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრებმა თავისი კანადური ტურნეს მესამე მატჩში ანგარიშით 4:0 დაამარცხა მასპინძელთა ეროვნული გუნდი. კანადის ნაკრებთან პირველი წაგების შემდეგ ეს სტუმრების ზედიზედ მეორე გამარჯვებაა

● კიროვო-ჩეპეცკი (კიროვის ოლქი), 2 იანვარი. აქ დაიწყო „ოქროს შაიბის" პრიზზე ჰოკეისტთა ფინალური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ კაუნასის, ტალინის, მინსკის, მოსკოვის, ლენინგრადის, ვოსკრესენსკის, პეტროპავლოვსკის (ყაზახეთი), ულიანოვსკის, სიკტივკარის, ხარკოვის, პენზის, კრასნოიარსკის, ულან-უდესა და სხვა ქალაქების ჭაბუკთა გუნდები.

# იქნებ, საერთოდ ზედმეტია?

ერთი შეჯიბრების ჩრდილოვანი მხარეები

მენავთობეთა დაბის სპორტულ დარბაზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა აჭარის ჩემპიონატი კალათბურთში.

ვაჟებში თავიდანვე დაწინაურდნენ შარშანდელი პრიზიორები— „სპარტაკი" და „ვოდნიკი". ეს ორი კოლექტივი დაუმარცხებლად გავიდა ფინალში. გადამწყვეტი მატჩი მეტად საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ტაიმი დამთავრდა ფრედ — 23:23. შესვენების შემდეგ სპარტაკელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს კიდეც — 60:49.

III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში საბავშვო სპორტსკოლის გუნდი დაამარცხა პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა — 54:43.

ქალთა ტურნირის ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ პედაგოგიური ინსტიტუტისა და „ვოდნიკის" გუნდები. გაიმარჯვეს სტუდენტმა კალათბურთელებმა— 51:49. სპორტსკოლის აღსაზრდელებმა იოლად დაამარცხეს განთიადელები (53:18) და III ადგილი მოიპოვეს.

ჩემპიონატი დამთავრდა. შეივსო გათამაშების ცხრილი, დაჯილდოვდნენ გამარჯვებულნი. ჩემპიონატის მონაწილენი ყოველდღიურ საქმიანობას შეუდგნენ. და მაინც, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ტურნირში მონაწილე გუნდების სიმცირეს. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს ზოგიერთმა გუნდმა ვალი მოიხადა. მოუმზადებელი იყვნენ „სპარტაკისა" და „განთიადის" ქალთა გუნდები. ვაჟთა შეჯიბრებაში სუსტი კოლექტივი გამოიყვანა „ლოკომოტივმა", „განთიადის" კალათბურთელებმა კი პირველი მარცხის შემდეგ საერთოდ უარი თქვეს თამაშზე (!).

ტურნირი უფრო საინტერესო იქნებოდა, მასში მონაწილეობა რომ მიეღოთ „დინამოს", „კოლმეურნეს", „შრომით რეზერვებს"...

საინტერესოა, რით გაიმართლებენ თავს ზემოჩამოთვლილი ორგანიზაციების ხელმძღვანელები? იქნებ, საერთოდ ზედმეტია აჭარის ჩემპიონატის ჩატარება?

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

— ახლა კი დროა სტარტი ავიღო! — თხილამურები შეაწყვილა 1970 წელმა და ის იყო დაეშვა კიდეც კოსმოსის უსასრულო, ვარსკვლავებით მოფენილ ტრამპლინზე. ძლიერი არეკნი და...

— გამოჩნდა, მოფრინავს! — შესძახა კობა წაქაძემ და თხილამურებზე შემდგარ ახალბედას გუნებაში თავისეული, წაქაძისეული სტილი მოუწონა.

„მფრინავმა მოთხილამურემ" სამკერდე ნომრით „1970" კომეტასავით გადაუქროლა ბაკურიანის მიდამოებს და გაბედულად, უნაკლო სტილში დაეშვა იაგორას ველზე...

... სპორტის სასახლის დარბაზში გაშლილ უზარმაზარ სადღესასწაულო სუფრას სახელოვანი ქართველი სპორტსმენები და მწვრთნელები შემოსხდომიან.

ზუსტად თორმეტზე დააკაკუნეს.

— ვინა ხარ? — ერთხმად შესძახა ყველამ და სასახლის გუმბათმა დაიგუგუნა.

— ახალი, 1970 წელი! — იყო პასუხი.

— რა მოგაქვს?

— ჯანმრთელობა და კუნთების სიმაგრე, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, ახალი ველოსტადიონი, „დინამოს" კეთილმოწყობილი სტადიონი, სპორტული ბაზები, გულშემატკივართა გახარება და ყველა სიკეთე!

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, დიდი ფეხბურთის წელიწადო!

ახალი წელი სუფრის თავში დასვეს და გაჩაღდა ლხინი. ჩვენი ნიჭიერი მოჭადრაკე ქალები არანაკლებ ნიჭიერი დიასახლისები გამოდგნენ.

შოთა ლომიძემ მძიმე წონაშიც მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა, ახლა კი მკაცრ დიეტას იცავდა კვლავ წონაში დასაკლებად, მაგრამ...

— ეჰ, რაც იქნება, იქნება! დავრჩები ამ ხაჭაპურების ხათრით უმაღლეს წონით კატეგორიაში და ვნახოთ ვინ გამიმაგრდება! — თქვა მან და ნონას ნახელავ ხაჭაპურებს კინაღამ თითები ჩააკვნიტა.

ნანამ თავის მხრივ ოსტატურად გამომცხვარი ჭადრაკის ფორმის ტორტი მიუმატა სადღესასწაულო სუფრას. მაგრამ ნაკრების მწვრთნელმა ბუხუტი გურგენიძემ მოჭადრაკეთა გარდა ერთი ნაჭერიც არავის შეახვედრა: ტკბილეული მეხსიერებისთვისაა აუცილებელი და მეხსიერება მოჭადრაკისთვის, თქვენ დოში და ხიზილალა მიირთვით, არ შეგეცილებითო.

# ოქროდ ეწვიოს!

## ისევ საახალწლო

## ფელეტონი

ახალმა წელმა ნონას გაბედნიერება მიულოცა. და შემდეგ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებიც ადღეგრძელა: ბრინჯაოს ხანას რომ ოქროს ხანაში ცხოვრება სჯობს, ეს თქვენც კარგად იცით და აბა, თქვენ იცითო.

— კაცო, ეს ბავშვი მეგონა, არა და, ოპერის ბაღის გულშემატკივართა მოძღვარ ქართლოს სვანიძეზე მეტად არ ყოფილა გათვითცნობიერებული ფეხბურთის საქმეში?! — გაუკვირდა სპორტსმენთა საახალწლო შარჟების დასახატად შემოპარულ გიგლა ფირცხალავას.

კახი ასათიანს და გივი ნოდიას თან გადაჰყვნენ, თითო ჭიქა დალიეთ, დღევანდელ დღეს გეპატიჟებათო, მაგრამ მათ ბურთი ააგდეს და თავი შეუშვირეს: ვერა, ბატონო, მექსიკიდან დაბრუნებამდე ერთ წვეთსაც ვერ დავლევთ, პაიჭაძის ნაქონი ბუცებიც რომ გვაჩუქოთო.

ამაზე თამადის მოადგილე, სიმკაცრით განთქმული საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კარლო ყრუაშვილი „განრისხდა" და უფროსი ნოდია ყანწით დააჯარიმა. მერე შუბლი გახსნა და ღიმილით უთხრა ერერას ბეტონივით შეუვალ გივის: ე, ბიჭო, მთელი დედამიწის ზურგზე მარტო პელე დამრჩა დაუჯარიმებელი. ისე, ამხანაგურად მინდა დაგაჯარიმო და მექსიკაში გატანილ გოლს გაფიცებ, ხათრს ნუ გამიტეხო.

— ძმა ძმისთვის, — თქვა უმცროსმა ნოდიამ — ლევანმა და ორმა ფორვარდმა შეერთებული ძალით ამოაშრო სასმისი. ბოლოს და ბოლოს, ქუთაისელები იყვნენ და იმ პატარა ჯიხვს გაექცეოდნენ?!

— არიქა, თოვლის ბაბუამ საჩუქრები მოიტანა, მაგრამ დაღლილია, ვეღარ ზიდა და შემოსასვლელთან დაუტოვებია! — იყვირა ვილაცამ.

— ჩემი თავი გენაცვალოთ, სიმძიმეების აწევა ჩემი საქმეა, მაგით ვარჩენ ცოლ-შვილს! — იხუმრა დიტო შანიძემ და ხურჯინი ბუმბულივით აიტაცა.

ჭადრაკის დედოფალმა რატომღაც ბავშვის სათამაშოები შეარჩია.

— საჩუქარი მეც მერგება, მით უმეტეს, ასეთი მძიმე ოპერაციის შემდეგ! — თქვა ჯერჯერობით მხოლოდ ნახევრად-თბილისელმა მიშა ტალმა და ხურჯინიდან საექსპორტო „ივერიის" მთლიანი ბლოკი ამოაძვრინა, ერთი კოლოფი იქვე გახსნა, სიამოვნებით გააბოლა და... ამ ღამით ერთ ბლოკს როგორმე ვიმყოფინებო, — გაიფიქრა.

ომარ ფხაკაძეს რუსთავში საგანგებოდ ჩამოსხმული ფოლადის ველოსიპედი გადასცეს, იქნებ ამან მაინც გაუძლოს ჰერკულესს და არ გაიღუნოსო...

სლავა მეტრეველმა გრამფირფიტა შეარჩია, რომელზეც მექსიკური სიმღერა „შენსკენ მოფრინავ, მექსიკავ, ჩემო" იყო ჩაწერილი.

ვიქტორ სანეევისთვის მოოქროვილი კენგურუ იყო განკუთვნილი, მაგრამ თვითონ სპორტსმენი არსად ჩანდა. დარეკეს სოხუმში, თვითმფრინავს გამოგიგზავნით და გადმოფრინდითო, მაგრამ ვიქტორმა იუარა: არ არის საჭირო, ნუ შეწუხდებით, სამიოდე ნახტომით მანდ გავჩნდებიო და აასრულა კიდეც დანაქადი.

საჩუქარი ყველამ მიიღო და ლხინი გაგრძელდა. უცებ ნაძვის ხიდან, რომლის წვერიც სასახლის გუმბათს ებჯინებოდა და ტოტებზე სათამაშოების ნაცვლად ქართველ სპორტსმენთა მიერ მოპოვებული ოქროს მედლები ეკიდა, ერთი ოქრო-ვერცხლის კუნწულა მოწყდა და ანზორ ლიჟავას ღვინით ხავსე, 1960 წელს მოპოვებულ ევროპის თასში ჩაუვარდა. „დინამო"-ჩემპიონი, „დინამო" — II ადგილი" — ეწერა მედლებზე.

— ისევ დავკიდოთ, ისევ დავკიდოთ! — აყვირდნენ კალათბურთელები.

— ჩემზე უკეთ ამას ვერავინ გააკეთებსო, — ჩაიდუდუნა გოლიათმა ანზორმა და კუნწულა კვლავ ნაძვის ხეზე ჩამოჰკიდა.

ლევან ინწკირველი ახტა, მხარზე ხელი დაჰკრა ლიჟავას და ამას სიმბოლური მნიშვნელობა აქვსო — ჩასჩურჩულა. შემდეგ კი ჯერ არ იქნება გვიანო, ჩაიღიღინა...

დილამდე გუგუნებდა მრავალჟამიერი სპორტის სასახლეში. გარიჟრაჟზე კი ახალმა წელმა, რომელიც აღარც ისეთი ახალი იყო (ერთმა მოჭიდავემ ისიც კი შეჰბედა: ნუ გეშინია, შე ძველო, კაცი არ ვიყო, თუ შეგარცხვინოო), წარმატება უსურვა ყველას:

— აბა, ბიჭებო, თან საქმე, თორემ მარტო ქეიფით რეკორდები რომ არ მყარდება, ეს ყველას კარგად მოეხსენება. ისე შეგაბერდებით ხელში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის კი არა, პირველი თანრიგის შედეგიც სანატრელი გაგიხდებათ, თუ არ იფხიზლეთ!

მოგილოცავთ ახალ წელს, ქართველო სპორტსმენებო. ბედნიერი და ბარაქიანი ყოფილიყოს იგი, ოქროდ ეწვიოს და ვერცხლად ეთოვოს!

**კახი პატიაშვილი.**



△ **ბუდაპეშტი.** უნგრეთის დედაქალაქის ბეკეშჩაბის რაიონში საექსპლოატაციოდ გადაეცა ცურვის შესანიშნავი ბაზა, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, განსაკუთრებით 7-14 წლის მოზარდების აღზრდას შეუწყობს ხელს.

△ **ბუქარესტი.** ქალაქის ტრეკზე რუმინეთის ჩემპიონატის დროს გამოცადეს ელექტროტრანზისტორული ქრონომეტრი, რომლის ავტორიც ამ ქალაქის სპორტკლუბ „სტიაუას" წევრი ო. მათესკუა. ქრონომეტრი ფოტოელემენტის დახმარებით მოქმედებას იწყებს მაშინ, როცა ველოსიპედის თვალი სასტარტო და საფინიშო ხაზს შეეხება. გამოგონება ძალიან მოეწონათ.

△ **მენდოსა.** არგენტინის არმიის სპეციალიზებული განაყოფი ეძებს დასავლეთგერმანელ მთამსვლელებს შრეკენდაჰსა და შმიდტს, რომლებიც აკონკაგუას პიკზე (6960 მ) ასვლის დროს უკვალოდ დაიკარგნენ.

△ **პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და პოლონეთის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მატჩში პოლონელებმა 138,75 ქულა მოაგროვეს და 0,3 ქულით აჯობეს მასპინძლებს, რომლებიც II ადგილზე გავიდნენ. პირადი ტურნირიც პოლონელმა ბოიარსკამ მოიგო — 28,55 ქულა. მეორე იყო ჩეხოსლოვაკიელი კოტალიკოვა — 28,15, მესამე — იუგოსლაველი ობჩინოკა — 27,85.

△ **პარიზი.** ქვესაშუალო წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის ევროპის ჩემპიონის სახელისთვის აქ ერთმანეთს შეხვდნენ სედანი (საფრანგეთი) და კონსოლატი (იტალია). ქულებით გაიმარჯვა მასპინძელმა.

△ **მელბურნი.** ავსტრალიელ მოცურავეთა შეჯიბრებაში 100 მეტრზე ბატერფლაით მაღალი შედეგით (1.06,1) გაიმარჯვა მაკლემენსმა, 200 მეტრზე ბრასით ცურვა კი პლეიფერმა მოიგო — 2.44,2. 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში საერთაშორისო კლასის შედეგით ყველას აჯობა უითსონმა — 1.08,8.

△ **პარიზი.** ფრანგი ველოსიპედისტი დ. რებიარი, რომელმაც მეხიკოს ოლიმპიადაში გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში დამაჯერებლად დაამარცხა დანიელი მ. ფრეი და ოქროს მედალი მოიპოვა, 26 დეკემბრიდან პროფესიონალებში გადავიდა.

△ **ჰელსინკი.** ფინეთის ტანმოვარჯიშეთა ჩემპიონატში შესანიშნავად გამოვიდნენ მუშათა სპორტული კავშირის წევრები. ამ კავშირის ოთხმა სპორტსმენმა ნებისმიერ პროგრამაში ევროპის ექსჩემპიონ ლ. ლაინეს მეთაურობით ოქროს 6 მედალი მოიგო. თვითონ ლაინემ იმარჯვა თავისუფალ ვარჯიშსა და ხტომებში. ტაიჭზე ვარჯიშში ყველას აჯობა რ. ჰეინომ. კ. ვუორისტომ ი. რაჰიკაინენთან ერთად გაიყო პირველობა რგოლებზე ვარჯიშში. რაჰიკაინენი საუკეთესო იყო ორძელსა და ღერძზე შეჯიბრებაში.

△ **კოსფორდი.** ქალაქის უდიდეს დარბაზში გამართულ მძლეოსნურ შეჯიბრებაში 22 წლის მ. ბილჰემმა 600 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ახალი მიღწევა დაამყარა — 1.17,6. ეს 0,3 წამით სჯობს დ. ჯონსონის მიერ 12 წლის წინ დამყარებულ რეკორდს. 1000 მეტრზე რბენაში ინგლისის ახალი რეკორდის ავტორი გახდა 20 წლის ჯ. დევისი — 2.22,7. ეს 2,7 წამით სჯობს ძველი რეკორდსმენის, 1500 მეტრზე რბენაში ევროპის ჩემპიონის ჯ. უეთონის ადრინდელ მიღწევას. უეთონმა რეკორდის დაკარგვის შემდეგ განაცხადა, რომ პროფესიონალებში გადასვლა აქვს განზრახული.

△ **ნაირობი.** კენიის ამ მთიანი ქალაქის სტადიონზე ცნობილმა სპორტსმენმა, 21 წლის ჯ. სანგმა 220 იარდი 20,4 წამში გაირბინა და 0,2 წამით გააუმჯობესა თავისი ქვეყნის რეკორდი.

## ახალი წელი და ჭადრაკი

## მხიარული ფანქრით



ნახ. რ. ხანდირაძისა.

— გააკეთე სვლა! უკვე მეორე წელია ფიქრობ, ძმობილო!



უსიტყვოდ.

ნახ. ნ. მანუკიანისა.

# პელე — პოლიტიკოსი?

მეათასე გოლის გატანის შემდეგ პელეს საშუალება მიეცა პოლიტიკოსი გახდეს. ბრაზილიის დემოკრატიული მოძრაობის პარტიის ფუნქციონერმა ქალაქ ბელა-ვისტიდან განაცხადა, რომ მისი ორგანიზაციის წევრებს განზრახული აქვთ პელეს კანდიდატურა წამოაყენონ ქვეყნის პარლამენტის არჩევნებში. ამ გადაწყვეტილების შესახებ პელეს ჯერჯერობით თავისი აზრი არ გამოუთქვამს, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ფეხბურთის მეფე მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე სპორტს პოლიტიკაზე არ გაცვლის.

## რ. ხაბალაშვილი



გარდაიცვალა ფიზკულტურისა და სპორტის ძველი მუშაკი რუბენ ტიგრანის ძე ხაბალაშვილი.

რ. ხაბალაშვილი დაიბადა 1907 წელს თბილისში, მუშის ოჯახში. სპორტში მისი გზა ჭაბუკობის წლებიდანვე იწყება. იგი უკვე საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მონაწილეობდა ველორბოლებში, ხოლო ცოტა უფრო გვიან სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებასაც ხელმძღვანელობდა. მაგალითად, 1936 წელს რ. ხაბალაშვილი იყო ხელმძღვანელი ქალთა ქვეითი გადასვლისა მარშრუტით თბილისი — ბაქო, რისთვისაც საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სიგელით დაჯილდოვდა.

1935-1936 წლებში რ. ხაბალაშვილი თბილისის ლენინის სახელობის სტადიონის დირექტორია. ფეხბურთელი ბავშვებისგან აქ მან ჩამოაყალიბა სტადიონის მეგობართა ჯგუფი, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივ საწყისებზე. ასევე უანგაროდ მუშაობდა იგი 1937-1939 წლებში „დინამოს" ველოსექციის ბავშვთა სპორტსკოლის უფროსად.

შემდეგ — სამამულო ომი. რ. ხაბალაშვილმა მიიღო მედლები „კავკასიის დაცვისთვის", „გერმანიაზე გამარჯვებისთვის".

ომის დამთავრების შემდეგ რ. ხაბალაშვილი ისევ საყვარელ საქმეს დაუბრუნდა. 1947-1949 წლებში იგი საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის ინსტრუქტორია, 1949-1960 წლებში „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს თავმჯდომარე.

1960 წლიდან პენსიაში გასვლამდე რ. ხაბალაშვილი საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის სასტუმრო „სპორტის" დირექტორი იყო.

იგი მუდამ უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

რ. ხაბალაშვილი დაჯილდოებული იყო სამკერდე ნიშნით „ფიზკულტურის წარჩინებული", სიგელებით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავზე მან მიიღო ნიშანი „მასობრივი ფიზკულტურის განვითარებისთვის".

რ. ხაბალაშვილის სახით ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მოღვაწეთა რიგებს გამოაკლდა ერთი გულმოდგინე, თავისი საქმის მცოდნე და მოყვარული მუშაკი, ხოლო მისმა ახლობლებმა და ნაცნობებმა გულისხმიერი მეგობარი და კარგი ადამიანი დაკარგეს.

**ამხანაგების ჯგუფი.**

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, „ლოკომოტივის" საგზაო საბჭო იუწყებიან ვეტერანი ფიზკულტურული მუშაკის, „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის

**რუბენ ტიგრანის ძე ხაბალაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03103